საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუგლაძე ჟუჟუნა იოსების ასული

დუგლაძე ჟუჟუნა იოსების ასული (დ. 4. X. 1928, ყვარელი), მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1967). 1946–48 სწავლობდა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე. 1950 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. ამავე წლიდან 1970-მდე იყო თბილ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის მსახიობი. დ-ის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ქსენია (ბ. ლავრენიოვის „რღვევა“), გაიანე (პ. კაკაბაძის „ბედნიერი სამჭედლო“), თამრო (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, ინსცენირება გ. ნახუცრიშვილისა), ლიუდა (მაქსიმ გორკის „ვასა ჟელეზნოვა“), ლუსი (ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“), კლარა (ბ. ნუშიცის „ფილოსოფიის დოქტორი“), ამარანტა (ჯ. ფლეჩერის „ესპანელი მღვდელი“), ქეთო (ნ. როზოვის „ხალისიანი მეგობრები“, ქართულად გადმოკეთებულია ს. კლდიაშვილის მიერ), კეკე (გ. სუნდუკიანის „პეპო“), ბაბულო (ნ. კანდელაკის „სარეველა“) და სხვ. 1955-იდან იღებენ კინოში. როლები: თამარი („აბეზარა“), ჩიტო („ორი ოჯახი“), მასწავლებელი ქალი („ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.